თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №19

ქ. თბილისი 2018 წელი, 29 ოქტომბერი, 14.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითულიანი, დავით უომელიძე, ეახტანგ შაქარიშვილი, გიორგი გაბაშვილი, დავით უჯმაჯურიძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომას არ ესწრებოდა: თევდორე ისაკაძე, ნიკოლოზ ვაჩეიშვილი (საპატიო), გიჩა თევდორაძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გიორგი ბაგრატიონი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი კიკვიძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

ეკა ცეცხლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი

მაკა ოდილაძე - ა.ა.ო.ა. „თბილისის განვითარების ფონდის" წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-031816523-03; 12-0318173117-03; 12-031810163-03)

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03181706-03)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (№12-031816523-03; 12-0318173117-03; 12-031810163-03)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი (№12 031816523-03; 12-0318173117 03; 12 031810163 03) საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ქალბატონმა ეკა ცეცხლაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკაში, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 7 წინადადება (მათ შორის ა/წლის 26 აპრილის №14 სხდომაზე გადადებული (წერილი №12-031810163-03 11.04.2018წ - მე-3 პოზიცია) ფხოვის ქუჩა №2-ში და ხაზინის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.010, ფართობი: 8252 კვ.მ და 01.15.04.020.008, ფართობი: 711 კვ.მ) ზონის ცვლილება), კერძოდ:

ა) (№12 031810163-03) №AR1573797 განაცხადით ითხოვეს სატრანსპორტო ზონა 1-ის და საცხოვრებელი ზონა 5-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილება ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №2 ში და ხაზინის ქუჩა №5-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.010, ფართობი: 8252 კვ.მ და 01.15.04.020.008, ფართობი: 711 კვ.მ) 1310 კვ.მ და 45 კვ.მ ფართობზე. არსებული მდგომარეობით სატრანსპორტო ზონა 1-ის გავრცელება ხელს უშლის ისტორიული განაშენიანების აღდგენის შესაძლებლობას, დღეევანდელი და საპროექტო ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც გეგმავს თბილისის განვითარების ფონდი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ზონა 1-ის და საცხოვრებელი ზონა 5-ის ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით მისაღებია და გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ბ) (№12-031816523-03) ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა, N1, კორპუსი N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.32.001.065)

ავტოსამრეცხაოს (ბოქსები, კვების ობიექტი, კომპლექსური მომსახურების დანიშნულების ობიექტი) განთავსების მიზნით, მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ 6) ცვლილება შესაბამისი ფუნქციური ზონით. N01 19 32 001 065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2). საპროექტო ტერიტორიის მდებარეობიდან და მისი სამშენებლოდ განითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, დადგენილების დანართის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1, კორპუსი N3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01 19 32 001 065) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ 6) სატრანსპორტო ზონა 2 ით (ტზ 2) ცვლილება მოსანაწესებელია

გ) (№12-031816523-03) ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.21.003.099, ნაკვეთი N03//2) „მაკდონალდსის" საერთაშორისო ქსელის რესტორნის მშენებლობის მიზნით, მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) შესაბამისი ფუნქციური ზონით ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებულია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ საპროექტო ტერიტორიაზე დაადგინა შემდეგი ფუნქციური ზონები: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსსზ), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და მცირეცალი სამრეწველო ზონა 1 (ს 1) საპროექტო ტერიტორიის მდებარეობიდან და მისი სამშენებლოდ განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.21.003.099, ნაკვეთი N03/72) მიზანშეწონილია განსორციელდეს არსებული ფუნქციური ზონირების ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ 2).

დ) (№12-03181/311/-03) ქალაქ თბილისში, ანაკლიის ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.06.003.008, ფართობი: 119 კვ.მ) ნაწილზე და მის მიმდებარედ მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. დედაქალაქის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიჯნაზე არსებულ ნაგებობაზე. შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნულიდან

გამომდინარე, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.06.003.008, ფართობი: 119 კვ.მ) ნაწილზე და მის მიმდებარედ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ 5) ცვლილება მისაღებია,

ე) (№12-0318173117-03) ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ე.წ „ჩალიპირები"-ს ტერიტორიაზე (ფართობი: 1 132 კვ.მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) შესაბამისი სატრანსპორტო ზონით ცვლილება ვინაიდან, ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს რეალურად აქვს მისასვლელი გზა, აღნიშნული ცვლილებით ხდება საავტომობილო გზაზე შესაბამისი ზონის გავრცელება, რაც მესაკუთრეებს მისცემს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სრულფასოვნად განვითარების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, ე.წ „ჩალიპირები"-ს ტერიტორიაზე (ფართობი: 1 132 კვ.მ) საკადასტრო საზღვრების მიჯნაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ 3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ 1) ცვლილება მისაღებია;

ვ) (№12-0318173117-03) ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, წმინდა გიორგის უბანში მიწის ნაკვეთების მიჯნაზე, არსებულ გზაზე (ფართობი: 833 კვ. მ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ვინაიდან ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებს რეალურად აქვს მისასვლელი გზა, აღნიშნული ცვლილებით ხდება საავტომობილო გზაზე შესაბამისი ზონის გავრცელება, რაც მესაკუთრეებს მისცემს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სრულფასოვნად განვითარების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, წმინდა გიორგის უბანში მიწის ნაკვეთების მიჯნაზე, არსებულ გზაზე (ფართობი: 833 კვ. მ) საცხოვრებელი ზონა 1-ის (ტზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ 1) ცვლილება მისაღებია,

ზ) (№12-0318173117-03) ქალაქ თბილისში, წერეთლის ქუჩა №183ა და მელიტონ ფალიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.12.14.087.007 და 01.12.14.087.008) ნაწილზე და მის მიმდებარედ 45 კვ.მ ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ს-1) შესაბამისი საცხოვრებელი ზონით ცვლილება. არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის გენერალური გეგმის მიხედვით ფიქსირდება რუკის ხარვეზი და რეალურად სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და მის მიჯნაზე; აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: 01.12.14.087.007 და 01.12.14.087.008) ნაწილზე და მის მიმდებარედ 45 კვ.მ ფართობზე, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ზოგადი საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბერის მიერ საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2014** წლის **30** დეკემბრის **№20-105***

დადგენილებაში ცვლილების შეტანის 7 წინადადება გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-95 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12 03181706 03)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა. ძალა თქმით,"ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2018 წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტის ორგანოები განახორციელებენ კოდექსის 77^1 (აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება) და 77^2 (ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებზე რეაგირებას. საყურადღებოა, რომ მოცემულ სამართალდარღვევებზე უფლებამოსილი ორგანოდ განსაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, შესაბამისად საჭიროა ცვლილებით გათვალისწინებული ფუნქციები ასახოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-95 დადგენილებაში.

შესაბამისად, ეკონომიკური დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დადგენილების პროექტს მიეცეს დადებითი შეფასება და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ეკონომიკური დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე _____ რევაზ სოხაძე